

გლობალური ფონდის „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის (GEO-H-NCDC)

სტატუსი

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის გრანტის (GEO-H-NCDC) ფარგლებში გახორციელებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის სტატუსი 2015 წლის 30 იანვრისთვის

2014 წლის ნოემბრის ბოლოს გაფორმდა ხელშეკრულებები 5 ძირითად განმახორციელებელ ორგანიზაციასთან პროგრამით გათვალისწინებულ საკვანძო მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მიმდინარეობს პროგრამის ამოცანა 1-ით გათვალისწინებული მომსახურებების შესყიდვა არის საბოლოო ფაზაში და მომსახურების მოწოდება დაიწყება მიმდინარე წლის I კვარტალში.

გლობალური ფონდის ადმინისტრაციიდან 2015 წლის 14 იანვარს მიღებული იქნა „განხორციელების წერილი“, რაც ითვალისწინებს გლობალურ ფონდსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში რიგი ცვლილებების გატარებას, კერძოდ:

ა) განხორციელების ჩარჩოსა და ჯამური ბიუჯეტის განაწილების განახლებას;

ბ) სტანდარტული პირობებისა და სპეციალური პირობების/მოთხოვნების განახლებას.

აღნიშნული წერილის საფუძველზე, ჩვენი და გლობალური ფონდის მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტთან კონსულტაციების შედეგად, იცვლება მიზნობრივი პოპულაციების (ნარკოტიკების ინფექციური მომხმარებლები (ნიმ-ები), კომერციული სექს-მუშაკი (კსმ) ქალები, მამაკაცები, რომელთან სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ-ები)) პრევეციული პაკეტებით მოცვის განსაზღვრის პრინციპები, რაც დადებითად აისახება მოცვის მაჩვენებლებზე.

ასევე დაზუსტდა არტ მოცვის ინდიკატორებისა და ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის ინდიკატორების დათვლის პრინციპი.

დამატა მიზნობრივი პოპულაციის წარმომადგენლების ტუბერკულოზზე სკრინინგის ინდიკატორი.

2015 წელს ნიმ-ების შიდსის პრევენციული პაკეტით და ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით მოცვის გაზრდის მიზნით შექმნილი იქნება მობილური ამულატორიის მიკროავტობუსები (4 ერთეული), მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები.

გლობალური ფონდის „განხორციელების წერილში“ ხაზგასმით არის აღნიშნული ფონდის მიერ დაფინანსებული მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების 2016 წლიდან მდგრადობის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფის აუცილებლობის საკითხი, რათა ამ

პროგრამების ბენეფიციარები არ დარჩნენ მომსახურების გარეშე გლობალური ფონდის დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ როგორც სამოქალაქო სექტორში, ისე პენიტენციურ სისტემაში. გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს დაგეგმილია კიდევ ერთი ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრის გახსნა თბილისში.

ამასთან ერთად, ისევე როგორც 2014 წელს, 2015-შიც გლობალური ფონდი თავად განსაზღვრავს თუ რომელი სამედიცინო პროდუქტი იქნება შესყიდული ადგილობრივად და რომელი გაერთიანებული შესყიდვის მექანიზმის (Pooled Procurement Mechanism) გამოყენებით, რის ჩამონათვალსაც მოგვაწვდის, თუმცა სავარაუდოდ აქ მოხვდება მეორე რიგის არც მედიკამენტები, შპრიცები, კონდომები და ლუბრიკანტები.

დაწყებულია კომუნიკაცია გლობალურ ფონდთან სახელმწიფოს სახსრებით, რაც უკვე ჩასმულია 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტში, პირველი რიგის არც მედიკამენტების შესყიდვისთვის იგივე გაერთიანებული შესყიდვის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

ამჟამად გლობალური ფონდის პროექტების განხორციელების ჯგუფი მუშაობს 2014 წლის ბოლო 6 თვის საანგარიშო და დაფინანსების მოთხოვნის დოკუმენტზე (Performance Update/Disbursement Request), პარალელურად მიმდინარე კვარტალში განხორციელება პროგრამის აუდიტორული შეფასებაც, რის დასრულების შემდეგ პროგრამის განხორციელების განახლებული ინფორმაცია მოწოდებული იქნება საკოორდინაციო საბჭოსთვის Dashboard-ის მეშვეობით.

ინდიკატორების დონეზე 2014 წლის წინასწარი შედეგები დამაიმედებელია (დაზუსტდება 2015 წლის თებერვლის ბოლოსთვის), კერძოდ:

- 19,825 მაღალი რისკის პოპულაციის წარმომადგენელი (ნანრკოტიკის ინექციური მომხმარებლები (ნიმ), კომერციული სექს მუშაკი (კსმ) ქალები, მსმ-ები) მოცული იქნა აივ ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით, რაც აღემატება დაგეგმილ რაოდენობას;
- 1915 პატიმარს ჩაუტარდა აივ ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება;
- მინიმალური პრევენციული პაკეტით ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებლების მოცვის ინდიკატორის მიღწეული მაჩვენებელიც სრულად შესრულებულია (25,130 ადამიანი 17,925-ს ნაცვლად);
- მინიმალური პრევენციული პაკეტით კომერციული სექსმუშაკი ქალების მოცვამ შეადგინა 84.7%; ხოლო მსმ-ების მოცვამ შეადგინა 76.1% პროცენტი;
- მაღალეფექტიანი ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამის ფარგლებში მკურნალობდა 2541 პაციენტი (91.7%), მათ შორის 309 აფხაზეთის ტერიტორიაზე;
- 2014 წელს გლობალური ფონდის დაფინანსებულ მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართული იქნა 498 პაციენტი (ინდიკატორი შესრულებულია)
- არასრული მონაცემებით C ვირუსული ჰეპატიტის კონფექციის მქონე 136 აივ ინფიცირებულ პირს (დაგეგმილი რაოდენობის 91%) ჩაუტარდა მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონით.